სახალხო გაზეთი

№ 851 ხუთშაბათი, 21 მარტი 1913 № 851

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მოდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. საშვლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, ბუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაპრო სახლის ლ. და მ. მეტცლ. და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მიღება-პერიკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., საარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ ოქრი წიგნი

1) **უცხოელთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ძართველი ერის ისტორია,** პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარეშე, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი სპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გად იხადონ ნაწილოებით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა ყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გ მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ წრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში,** სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2 ქ. ბ. წ-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,

3 ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

მღვდ. კორნილე მეუღლით და **შვილებით, მღვდ. გრიგორი მეუღლით, ოლღა ქმრით, სოფიო, თამარი** და **ვასილი, მღვ. მიხეილი მეუღლითა** და **შვილებით, მედავითნე კალინიკე მეუღლითა** და **შვილებით ელიზბარიშვილები** და **მარიამი ფერაძისა** აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას მამისას **მღვდლის**

პეტრე ნიკოლოზის ძის **ელიზბარიშვილისას**

ქალაქ თელავში. პანაშვიდები საღამოს 6 საათზე, დაკრძალვა შაბათს, 23 მარტს. 166

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 79.

ორშაბათს, 25 მარტს ✦ **ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ,** ✦ წარმოდგენ. იქნება პირველად ქართულ სცენაზე ძველ საბერძნეთის გამოჩენილ ტრაგიკოსის **სოფოკლესის** ცნობილი ანტიური ტრაგედია

ედიპე მეფე

თარგმანი კონსტ. ანტონოვისა.

წარმოდგენის დაწყებამდე მიხ. **წულუკიძე** წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე:

„ანთიკური ტრაგედია და ედიპე მეფე"

ტრაგედია დადგმული იქნება ცნობილ რეჟისორის **რეინტგარტის** გეგმით, რისთვისაც სცენა და პარტერი შეერთებული იქნება. ✦ მოქმედება უმთავრესად სწარმოებს პარტერში და იმ ალაგას, სადაც იმყოფება ორკესტრი. პარტერის პირველი სამი რიგი აღებულია და ეს ადგილი მოწყობილია ძველ საბერძნეთის თეატრის სცენის მიხედვით. რადგანაც მომქმედენი პირნი თეატრის ფოიეს და კარიდორებიდან გამოვლენ, ამიტომ მსახიობთა ამხანაგობის რეჟისურა უმორჩილესად სთხოვს დამსწრეთ, მეორე ხარის შემდეგ ყველამ თავისი ადგილი დაიკიროს. **დასაწყ. სალ. 8½ ს. წარმოდგ. დაწყების შემდეგ თეატრში აღარავის შეუშვებენ.** ედიპეს როლს შეასრულებს **ვ. გუნია მონაწილეობს მთელი დასი, 50 კაცი და სიმღერანი ორკესტრი „ახალი კლუბისა" ბ ნ პრესმანის ლოტბარობით.**

ადგილების ფასი სპეციალურია ბილეთები უკვე იყიდება თეატრის კასაში.

1094 რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.** ადმინ. **ილარიონ ანდრონიკაშვილი.**

Общество Кахетинскихъ садовладѣльцевъ

„Кахетія"

въ Тифлисѣ.

№

რადგანაც ამ უკანასკნელ დროს მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი,

„კ ა ხ ე თ ი"-ს საზოგადოება

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოეკიდება სასამართლოს წესით. 1054

Заведыв. М-ер Торг. и Пром. Типографія Мирзоева и К° Тифлисъ.

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაგიანცი

წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოთორაკსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე).

ტელეფ. 7—93. 97

აგლაბრის სახალხო ძართულ წარმოდ. დგენების მმართ. წრის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, რადგანაც **უკვე შეუდგა საზაფხულო სეზონის გახსნას,** ამის გამო **იწვევს სცენის მოყვარეთ, როგორც ძალთ, აბრეშუმ მამაკაცებს.** სეზონი მოსალოდნელია მალე გაიხსნას. რეპერტუარი შემდგარია სრულიად სხვა პიესებით, რომელიც წარშანდელ სეზონში არ ყოფილა დადგმული.

ამის გამო იმ პირთ, რომელნიც **მოისურვებენ დასში ჩაწერვას,** უნდა მიმართონ ამავე წრის რეჟისორს მსახიობ **ი. ივანიძეს,** Католическая № 14, დილის 10—12 ს.-დე. სეზონის გახსნის შემდეგ კი თეატრის კანტორაში, ყოველ დღე საღამოს 7—10 საათამდე. 1029

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

წინამძღოლობის

თანამდებობის აღმასრულებელი

ამით აუწყებს თავად-აზნაურებს, რომ

24 მარტისათვის დანიშნული კრება არ შესდგება, რადგანაც მოწვევის საბაბი მოისპო. 1105

ჭიათურის მავიქვის მრეწველთა

საგჭო

აცხადებს, რომ 1913 წლის **5 აპრილს, 12 საათზე,**

ქუთაისში, სასტუმროში,

გაიმართება წერილობითი და სიტყვიერი

საჭარო ვაჭრობა

შემდეგი სამუშაოს გადასაცემად:

1) უნდა აშენდეს მეორე სართული უკვე არსებულ ჭიათურის საავადმყოფოსი. სამუშაო სულ 20 ათასი მანეთისა იქნება;

2) უნდა აშენდეს ორ-სართულიანი ქვოტკირის შენობა ჭიათურაში ექიმებისათვის. სამუშაო 14 ათასი მანეთზე მეტისა იქნება.

3) უნდა გასწორდეს სამრეწველო გზები ჭიათურის სამრეწველო რაიონში. სამუშაო 60 ათასი მანეთისა იქნება.

საჭარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად **საჭიროა გირაო 5%.** პროექტებისა, ხარჯთ-აღრიცხვისა და კონდიციების გასინჯვა შეიძლება **ტფილისში** სასოფლო-სამეურნეო ბანკში, მუშაობის დროს, **ქუთაისსა** და **ჭიათურაში**—საპკოს სადგომში. 1115

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძველი ქალაქის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ბიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებული საშუალებით განყოფილებ.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ბ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მაღალაშვილი გ. ბ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. ბ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—2.
	ექ. ჭალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცი (ყოველ-დღე 11½—12½ ს.)
	მელიქ-შაქრადი ნ. ბ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირბადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და ბავშვთა სნეულებანი.	**ვეჩიმი-ქალი ვერბიცკი-ფირბადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	ოიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
	მელიქიშვილი ნ. ვ. (ყოველ დღე) 10—1.
	ხოლაბაკი ბ. ი. (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ჭალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. ბ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი ვ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	ჯაკანიშვილი ნ. ნ. (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს.
	ფონდოლეკი, ბ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყელ. ყურ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½
	ორეშმოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 1½—2.
ფილტვ. ტუბერკულოზის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კანის და ვენ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამეკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე ფასი ღირს 40 მ. ოპერაციები, კოსმეტიკა, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606" „914"** და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

გამოცემლობა და

ეროვნულ-გაზეთების კანტორის

„იმერეთი"

ქუთაისში,

ამით აცხადებს, რომ იგი შეუდგა

გიორგი ჭალადიდელის (ძოწაძიძის)

ნაწერების გამოცემას. წიგნს წამძღვარებული ექნება ბიოგრაფია **ივანე გომართლისა,** სურათი და ფაქსიმილე. წიგნი იქნება 200—250 გვ. და ეღირება ხელის მოწერით 10 შაური, ხოლო გამოცემის შემდეგ 15 შაური. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისი კანტორა **„იმერეთში", ტფილისში**—ქ. ბ. წ.-კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში და გამომცემლობა „იმერეთის" ყველა იმ აგენტებთან, რომლებიც გამოცხადებულია „თემ"-ში, „ალბიდა"-სა და „დილა"-ში. **ისიდორე კვიცარიძე.** 1113

ქარხნის მარკა

კონიაკი და ლიქიორი

ს. ს. შაგრიარსკისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნ ა კ ა დ უ ლ"-ზე.

წელიწადი მეცხრე.

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორ ი გ ა მ ო ც ე მ ა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითოეული გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ჭალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან** ✦ **„ბიძია თომას ქოხი",** ✦ სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული [illegible] შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული" მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

ზიაში რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**

საქმეო

„ცოცხალი"

1114.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდ'ბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის შეიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანცი სა. წ. 1020

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ი. ი. **ბერიშვილი** სწამლობს **ხაშარდე** ორგანოთა, **ბოლშანგისა** და **კანის** ავადმყ.: **ვენერიანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ., № 94, კირიჩნი ქუჩის ახლო, ბაფიტოს განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ე. ი. **მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, სპეც. ბუჭისა და ნაწლავთა ავადმყ. და საზრდოებ (სისხლ ნაკლ. ულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციებ. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპასოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბრგუთინსკი, შინაგ., ბავშ. ყ.-დღ. 10½ ს.

ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.

ბოგოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

კალამკარიანი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.

თეორაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½.

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვეინერ-ვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

ერმოლაევი—ბავშ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. ს.ღ. 4—5 ს.

ა. ბ ზოდნევი—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., საღ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ჩირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ინად პროფ. ვ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წიდაწინვე ჩაწერით. 366.

ექიმი შ. ა. **მიქელაძე.** იღებს **შინაგან და ბავშვის სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. 6½ საათ. ლაბეთის ქ. № 6.

ექიმი **კბილისა** **ნინო ბაბილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ვაგზლის პერქო
სამკურნალო

გბრედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდ. სიფილ., კანისა და გენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. ბოთოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარეკ ყელ, ყურ. და ცხვ. ხნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშობიარო ხუთშ. ბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. ხნ. ეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომბოროელი.—ყ. დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ციხების გასიხვა. ფასი ორჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი ბოლიგებით.

ნამლობა „606“-ით. 1053

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ებრაელების შესავიწროებლად გამოცემულ სხვა და სხვა კანონსა და ცირკულიარებში ბევრი უცნაური, სხვაგან შეუძლებელი და გაუგონარი, ღონისძიება მოიპოვება. არც გასაკვირველია: ოღონდ ებრაელების წინააღმდეგ რამე ახალი ღონე იღონონ მმართველმა წრეებმა, მეტი არა უნდათ-რა,—არავის დაზოგვენ, არაფერს მოერიდებიან... ეხლახან გამოცემულ სამხედრო-საექიმო აკადემიის წესდებაში შეუტანიათ, თურმე, მუხლი, რომლის ძალით აკადემიაში შესვლის უფლება არა აქვთ მონათლულ ებრაელების შვილებსა, შვილიშვილებს, საზოგადოდ შთამომავლობას. აი სადამდის მიდის კაცთმოძულება, — შთამომავლობასაც კი წვდენენ!.. ამის გამო გაზეთ „კავაზ“-ში გუშინ დაბეჭდილი იყო შემდეგი დეპეშა პეტერბურგიდან:

„გაზეთების ირონიულ შენიშვნებს იწვევს ის ახალი მუხლი სამხედრო-საექიმო აკადემიის წესდებისა, რომლის ძალით აკადემიაში შესვლის ნება არ ეძლევა ებრაელების შვილთა და შვილიშვილთ. ასახელებენ იუსტიციის მინისტრის ამხანაგს ჰასმანს, სენატორს უტინს, საიმპერატორო სასახლის ექიმს ბერტენსონს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს [illegible] და სხვა ნარჩინებულ ბიუროკრატებს, რომელთა შვილებს და შთამომავლობას, თანახმად ახალის კანონისა, ნება არა აქვთ სამხედრო-საექიმო აკადემიაში შევიდნენ...“

ერთობ კომიკური მდგომარეობაა, გრამ საეჭვოა, რომ გაზეთების დაინვამ რაიმე შთაბეჭდილება მოახდინოს ახლანდელ უცნაურ კანონმდებლებზე...

* * *

მაკლაკოვის განზრახვა პრესსის ანალგამავად ახალ კანონ-პროექტის [illegible]ამზადების შესახებ, უკიდურეს [illegible]ეაქციონერებსაც კი აღელვებს. „იუსსკ. ზნამია“-ს ცნობილი რედაქტორი ექ. დუბროვინი პირდაპირ სწერს:

„მაკლაკოვის განზრახვა სწორედ უბედურებას გვიქადის. დღევანდელმა პრესსამ დიდი ნაბიჯი გადადგა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების გზაზე და უკან დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია. ასეთი საკანონმდებლო ექსპერიმენტები მეტად ცუდ სამსახურს უწევენ სწორედ იმ საქმეს, რისთვისაც სცდილობს მინისტრი: ქვეყნის დამშვიდებას. პრესის ალაგმვა ისეთნაირი, როგორიც მაკლაკოვს განუზრახავს, „სმუტას“ გააძლიერებს მხოლოდ...“

დუბროვინმაც კი შეიგნო ის, რაც თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწეებისთვისაც მიუწდომელია. ამასაც მოვესწარით!..

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მეფის მოადგილემ გრაფმა ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა** 19 მარტს ღამე მოუსვენრად გაატარა. ტემპერატურა ჰქონდა 37,4, მაჯა—საშუალოდ სავსე, მაჯის-ცემა—76-დე წამში, გულის-ფრიალი—ი შვიათი და სუნთქვა 30—34.

◆ **ნება დართეს** ამიერ-კავკასიის რუსულ მონასტრებს, რათა ხელისმოწერით ფული შეაგროვონ თერგისა და ყუბანის ოლქის მონასტრების საჭიროებათათვის.

◆ **გადმოსახლებულ რუსთა სამმართველო** ამ მოკლე ხანში 82 რუს ოჯახს ასახლებს ალაზნის გაღმა მხარეს, სოფ. ჭიაურის მახლობლად.

◆ დონის როსტოვში ადმინისტრატიულად გადასახლებულ 400 კაცს ნამესტნიკმა სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა.

◆ **ხელსაქმის კურსები.** სახალხო განათლების სამინისტრომ 1,800 მან. გადასდო სამოქალაქო და პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებლებისთვის ხელსაქმის კურსების მოსაწყობად. კურსები გაიხსნება ტფილისში, 5 ივნისს და გასტანს ორ თვეს.

◆ **ფრინველთა გამოფენა.** ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, მომავალ აპრილში, 17-დან 24-მდე, ფრინველთა გამოფენა გაართოს მიხეილის ქუჩაზე, ავლაბრის კლუბის საზაფხულო შენობაში.

◆ **ქალაქის 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.** ქალაქის მოურავმა გუშინ ქალაქის გამგეობის ყველა განყოფილებას დაავალა, 1 მაისამდე წარმოუდგინოს გამგეობას ის ოხსენებანი, რომლის განხორციელებაც ახალ ხარჯს გამოიწვევს. გამგეობას აზრად აქვს, ასეთი მოხსენებანი ზაფხულამდე წარუდგინოს ქალაქის საბჭოს, რათა 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში საჭირო ფული თავის დროზე შეიტანოს.

◆ ქალაქის გამგეობამ განიზრახა, დააარსოს **სამარხი ბიურო**, რომელიც ღარიბთა დამარხვას მცირე ფასად იკისრებს.

◆ **საბირჟო ცნობები.** 20 მარტს შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 80 კ., აძლევენ—85 მან. 55 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან., აძლევენ—82 მან. 65 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—78 მან., აძლევენ 77 მან. 50 კ.

საზოგადოებანი და კრებები

◆ 23 მარტს **საზოგადოებრივ კლუბში** გაიმართება ჩვეულებრივი საღამო. არც წარმოდგენა იქნება, არც რეფერატი. გაიმართება მხოლოდ ბაასი უკვე წაკითხულ მ. ჩხეიძეს რეფერატსა და იბსენის ნათამაშევ პიესის „მოჩვენებათა“ შესახებ.

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათის ნაცვლად სამშაბათს, 26 მარტს, მოხდება. კრებას, სხვათა შორის, განსახილველად წარედგინება სასალახოს რევიზორთა მოხსენება სარევიზიო კომისიისა, ქალაქის გამგეობისა და სასალახოს აღმშენებელ კომისიის ახსნა-განმარტებებით.

◆ **საეგრონომიო თათბირი.** თათბირის მომწვევმა ბიურომ დაადგინა, 21 მარტის მაგივრად 23 მარტს მოიწვიოს თათბირი საზოგადო და მთავრობის დაწესებულებათა აგრონომებისა. თათბირი მოხდება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

ამიერ კავკასიის საგუბერნიო და საოლქო ბეითალ-ინსპექტორების კრებამ, რომელიც დაიწყო ტფილისში 17 მარტს, დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს საეგრონომიო თათბირში, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა გამოარკვიოს საყინულეთა მოწყობისა და საქონლის მოშენების საქმეების მდგომარეობა.

◆ განზრახულია, მომავალ მაისში მოიწვიონ კავკასიის სამოსწავლო ოლქის საშუალო სასწავლებლების **სამღვთო სჯულის მასწავლებელთა კრება.** კრების თავმჯდომარედ იქნება ერევნის ეპისკოპოსი პიმენი, რომელიც [illegible] კრების [illegible] ნსახილველ საგანთა სიის შედგენას.

◆ ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა **შემნახველ-გამსესხებელ კასას** 1912 წელს საწარმოო თანხა ჰქონია 356,312 მან. 81 კაპ.. 1913 წლის პირველ იანვარს 556 წევრი ჰყოლია; საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონია 89 კრება; სესხი გაუღია 1133-ჯერ—სულ 90,928 მან. 50 კ.; კასას წმინდა მოგება დარჩენია 2,740 მან. წარსულ წელს საზოგადოებას აურჩევია საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს საკითხი საღამაშენებლო თანხის შეკვრის შესახებ. ამავ წელს აღძრულა საკითხი: კასის მოგებიდან გადაიდოს ყოველწლიურად 15 პროც. ახლანდელ 10 პროც. ნაცვლად დახმარების აღმოსაჩენ საჭირო თანხისათვის და ამ თანხიდან ერთი ნაწილი კასის წევრთა შვილების სწავლის ფულის გასასტუმრებლად გადაიდოს.

სასწავლებლებში

◆ აგერ ორი კვირაა, ერევნის ეპისკოპოსი პიმენი გაძლიერებულ **რევიზიას** შეუდგა საშუალო და დაბალ სასწავლებლებში, რათა გამოარკვიოს, რა მდგომარეობაშია იქ სამღვთო სჯულის სწავლების საქმე სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში.

ძუთაისი

◆ ქალაქ ქუთაისს ვალად ედო პოლიციის შესანახი 88,345 მ. 88 კ. 16,521 მ. 83 კ. ჯარიმა. პეტერბურგიდან ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი დეპეშით ატყობინება, სამინისტრომ ჯარიმა სრულიად ახსნა ქალაქსა, წმინდა ვალის გადასახდელად კი ოცის წლის ვადა მისცა.

◆ ქალაქის საბჭომ, თანახმად გუბერნატორის წინადადებისა, დაადგინა ქალაქის მცველებს თვიურად ხუთ-ხუთი მანათი ჯამაგირი მიემატოს.

◆ ქუთაისის სამეურნეო სკოლის უკანასკნელ პედაგოგიურ კრებაზე ამ სკოლის 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა დაუმტკიცებიათ. სკოლის მიწათმოქმედების დეპარტამენტიდან 3938 მან. 46 კაპ., ხოლო საერობო თანხიდან 6000 მანათი ეძლევათ. მოწაფეთა სწავლის ფულისაგან 5850 მანათი შემოდის და სხვა დი სხვა შემოსავალიც 3332 მანათს უდრისო. ამავე სკოლას 700 მანათს ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭო სწირავს სხვა წყაროებიდან შემოსდის 2133 მ. 23 კაპ. სულ შემოსავალი უდრის 21952 მან. 69 კაპ.

◆ სოფელ ანუთში (ზუგ. მაზრა) განუზრახავთ პირველდაწყებითი სამეურნეო სკოლის გახსნა. ფიქრობენ ზუგდიდის მაზრის სხვა სოფლებშიც გახსნან ასეთი სკოლები.

◆ მოსკოვში არსებულმა მეღვინეობისა და მევენახეობის კომიტეტმა ქუთაისის გუბერნიის მეღვინეებს მიმართა თხოვნით—მეღვინეობის შესახებ სურათები გამოგვიგზავნეთო. ითხოვენ სარდაფებისა და იმ ადგილების სურათს, სადაც ღვინოს აყენებენ. კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს ხელს ამ საგანზე წიგნი გამოსცეს.

სოხუმი.

◆ სოხუმში ოსმალეთიდან გემით ბევრი უპასპორტო ოსმალო მოვიდა. საზღვარზე მდგომმა დარაჯებმა სროლა აუტეხეს; ორი მოჰკლეს, ერთი დასჭრეს, ბევრი დააპატიმრეს.

ბაქო

◆ „წყარო“-ს რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ: ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ჟურნალ „წყარო“-ს შემდეგი № 11 გამოცემა თავის დროზე არ მოხერხდა, ვინაიდან „წყარო“-ს ყოფილმა რედაქტორმა, ბ-მა ე. თალაკვაძემ რედაქტორობაზე მოულოდნელად უარი განაცხადა და ახალი ნებართვის აღება ამ მოკლე ხანში აღარ მოესწრო. რედაქცია ბოდიშს იხდის რა პატივცემულ მკითხველთა წინაშე, ამით აუწყებს უკანასკნელთ, რომ ჟურნალის გამოცემა ისევ განახლდება ამ ცოტა ხანში და ხელის მომწერნი ნომრებს უკლებლივ მიიღებენ.

ორმაგი გუღალტერია

არიან ისეთი ოსტატები, რომელთაც ადვილად ეხერხებათ ორმაგი ბუღალტერიის წარმოება, არა მარტო კომერციულ, არამედ საზოგადოებრივ საქმეშიაც. ერთი ამისთანა ოსტატი ბ-ნი ნიგოიტსკია, დრო გამოშვებით რომ მოევლინება ხოლმე ჩვენს საზოგადოებას ხან „ტიფლ. ლისტოკ“-ში და ხან კი „ტიფლ. ჟურნალ“-ში. აი, ეხლაც ტფილისის საპოლიტეხნიკუმო ადგილის თაობაზე სწერს და ცდილობს ორმაგი ბუღალტერია აწარმოვოს, არც მწვადი დასწვას და არც შამფური, იმის გულიც მოიგოს, ვისი გულის მოგებაცა ჰსურს და თავის ეხეხულებას საზოგადოებრივი ხასიათიც მისცეს.

ნიგოიტსკის წერილში ორი დადებითი დებულებაა გამოთქმული: 1) საეჭვოა, რომ საბურთალოს მესაკუთრეთ პოლიტეხნიკუმისთვის მიწა შეეწიროთ და 2) მთელი ეს აურზაური მხოლოდ მიწის აჟიოტაჟისთვის არის მოგონილი.

პირველი დებულების შესახებ მოვახსენებთ დახელოვნებულ ბუღალტერს, რომ საბურთალოზე მიწის შეძენა პოლიტეხნიკუმისთვის მოგონილი ზღაპარი კი არ არის, ფაქტია, რომელიც მალე ყველა იურიდიულ ინსტანციას გაივლის და დამტკიცდება. რაიცა შეეხება მიწის აჟიოტაჟს, მართალია, ასეთი ხმები ყოველთვის ასწევს ხოლმე ფასსა იმ რაიონში, სადაც პოლიტეხნიკუმის აშენებაა განზრახული. ნიგოიტსკი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ ნავთლუღში მიწის ფასებმა აიწია განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ პოლიტეხნიკუმი იქ უნდა აშენდეს. ეს ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორიც ნიგოიტსკის სურვილი—არც მწვადი დასწვას და არც შამფური, იქითაც ასიამოვნოს და აქეთაც. მაგრამ აქედან შეუძლებელია ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, თითქოს ყველა ის, ვინც მიწებსა სწირავს საბურთალოზე და მათ შორის თავად-აზნაურობაც, აჟიოტაჟით იყოს გატაცებული. თავადაზნაურობას საკუთარი მიწები არა აქვს საბურთალოზე, რომ ამ აჟიოტაჟით იყოს დაინტერესებული. იგი მხოლოდ ეხლა იძენს მიწას, საგანგებოდ პოლიტეხნიკუმისთვის, რომ ამით თვით დაწესებულებას შეუწყოს ხელი და მეყრუებულ ადგილიდან უფრო ახლო გადმოიტანოს მომავალი უმაღლესი სასწავლებელი. ეს ნაბიჯი თავად-აზნაურობისა იმდენად დროული გამოდგა, იგი იმდენად შეესაბამება ტფილისის მცხოვრებთა უმრავლესობის სურვილს, რომ თავად-აზნაურობის საჩუქარს ყველა

მგზავრის შთაბეჭდილებანი

ცხოვრების უკუღმართმა ტრიალ-სამშობლოს დამაშორა. ორი წელიწადია, რაც მის ცხოვრებას მოყვეტილი ვარ. როცა აქ ვიყავი, როცა ასე თუ ისე ვსაქმიანობდი, ჩემთვის ბევრი საკითხი ჩვენი ეროვნული არსებობისა, თითქოს არც კი არსებობდა. მაგრამ რამდენადაც სამშობლოს ვშორდებოდი, იმდენად წვრილმანი ყოველ-დღიური ფუსფუსი, წვრილმანი საკითხები მეც მდევნენ და მთელი ერის არსებითი საკითხები ჩემ თვალ-წინ მკაფიოდ იხატებოდა. ევროპის გაცნობამ, მისმა, შეძლებისა-დაგვარად, შესწავლამ ათასჯერ უფრო გააძლიერა ჩემი ტკივილები და უფრო სასტიკად და ნათლად მაგრძნობინა, თუ რამდენად სუსტნი, უთავბოლო და მოუმზადებელი ვყოფილვართ. მეტად საყურადღებო და საგულისხმიერო ჩემთვის ეს შედარება, მაგრამ აქ მას გზას აუხვევ, ვეცდები შემდეგში თუ ბედმა გამიღიმა, ჩემი დაკვირვებანი გაგაცნოთ. მხოლოდ ერთი რამ აქაც შემიძლიან აღვნიშნო. შემოქმედება თავისუფლებაში — აი რაა ევროპის კულტურის სიძლიერე. თვით ჩვენისთანა პირობებში ყოფ ერისათვისაც შემოქმედება თვით-გამორკვევისათვის—აი რაა წინსვლის, მათი ამაღლებისა და გამარჯვების გზა. ერი მოკლებული გარკვეულ ეროვნულ იდეალს, ერი მოკლებული გარკვეულ, სისტემატიურ ეროვნულ საქმიანობას, არის ბრმა, რომელსაც არავინა სცნობს და პატივისცემითაც კი არავინ მოიხსენებს. სამწუხაროდ, დღევანდელ ქართველის არსებაში მეტად ძლიერია ერთნაირი დარღვევის პროცესი, რომელიც მას თავის საკუთარ სახეს აკარგვინებს და სხვა ერთა შესავსებ მასალად აქცევს.

მაგრამ მოვშორდეთ ამ სამწუხარო აზრებს, მოვშორდეთ თვით ევროპასაც.

მარსელიდან რომ გამოვედით, მესამე კლასის კაიუტაში მგზავრობის შემთხვევამ თავი მოგვიყარა სხვა და სხვა ერთა წარმომადგენელთ. უმრავლესობა ფრანგებია და პირველ გამოლაპარაკებიდანვე პოლიტიკური ბაასი გაჩაღდა. ფრანგს საოცრად აღელვებს გერმანიის ჯარის გაძლიერება. ხუმრობაა, შეუდრეკელ, მოუსვენარ, ეგოისტ გერმანიას 850,000 კაცი მუდამ თოფ ქვეშ ეყოლება მზად! საფრანგეთს კი, რომც მონდომოს არ შეუძლიან ასე უსაზღვროდ ადიდოს ჯარი, რადგან მისი რაოდენობა განსაზღვრულია, ხალხი აღარ მრავლდება, პირიქით კიდეც კლებულობს. საფრანგეთი ყოველ წლივ 3—4 საშუალო ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობით მცირდება. ეს სოციალური მოვლენა მეტად აწუხებს ყოველ ფრანგ პოლიტიკოსს, მაგრამ მიზეზი ღრმაა და შესაფერი, —ღრმა საშუალების გამოძებნა და განხორციელება არც ისე ადვილია. ფრანგს მოუსვენრობა ეტყობა, ჩემი თანამგზავრნი აღფრთოვანებით აცხადებენ—ჩვენ მზად ვართ ყოველი მსხვერპლი შევსწიროთ სამშობლოს დიდებასა. მაგრამ ამ განცხადებაში თქვენ ერთნაირ უიმედობასაც ამჩნევთ, ფრანგს ეშინიან. მას სავსებით არა აქვს თავის იმედი და იქით-აქეთ იცქირება, გარეშე ძალებს ეძებს. აი, —ერთმა განაცხადა, თუ ჩვენ საკმარისი ჯარი არა გვყავს ევროპაში, აფრიკის ახალშენებიდან გადმოვსხამთ ჩვენს ქვეშევრდომთო. აქ აღმოჩნდა აფიცერი, რომელსაც აფრიკაში ემსახურნა, შეაქო და შეაქო ალჟირის ჯარის კაცთა თავდადება და მათი განუსაზღვრელი მორჩილება უფროსისადმი. მეს მსჯელობა ცოტა არ იყოს, უცნაურად მეჩვენა და შევნიშნე: ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენი ახალშენების მცხოვრებნი მუდამ ასე თქვენი ყურ-მოჭრილი მონები იქნებიან და საკუთარ სამშობლოს ბედიღბალზე არ იფიქრებენ მეთქი; ვაი, თუ თქვენ ძიერ გაწრვთნილი აფრიკელი თქვენსავე წინააღმდეგ ამხედრდა და თქვენ გამანადგურებელ საახალშენო პოლიტიკას შეებრძოლა-მეთქი. ფრანგმა უკმაყოფილოდ ხელი ჩაიქნია, ეტყობოდა ამ ეჭვს მის გულშიაც ჰქონია ბინა. მაგრამ ეხლა იმედი ჩრდილოელ მოკავშირეზედაც გადავიდა. აი ქვეყანა—სადაც უთვალავი მცხოვრებიცაა და სადაც ადამიანიც არაფრად ფასობსო. ჩვენ ფული ბლომად გვაქვს, მას კი ხალხი უთვალავიო. აქაც ჩავერიე და შევნიშნე თანამედროვე ომი კულტურათა უსასტიკესი გამოცდაა. რამდენადაც კულტურა იზრდება, რამდენადაც სამხედრო ტეხნიკა ვითარდება და რთულდება, იმდენად რაოდენობის მნიშვნელობა მცირდება და ჯარისკაცის პიროვნული კულტურული სიმაღლის მნიშვნელობა მატულობს მეთქი. ფრანგი გაბრაზდა და მკვახედ შემეკითხა:—მერე, რა გნებავთ ამით სთქვათო?—ყოველ უწინარეს განუცხადე ჩემი სიმპატია და სიყვარული საფრანგეთისადმი, რომელიც თავისი დიადი სოციალური წარსულით ყველა დევნილთა და ჩაგრულთათვის მეორე სამშობლოა, როგორც პატარა შვეიცარია. მაგრამ აქ ორიოდე შენიშვნაც დავუმატე. სამწუხაროდ ამ ბოლო დროს საფრანგეთი მევახშეთა ქვეყნად გადაიქცა. საფრანგეთის სიმდიდრე, იმის მაგიერ, რომ თვით საფრანგეთში დატრიალდეს, წინ წასწიოს შინაური შემოქმედება, მრეწველობა, მეურნეობა და ამით საერთო დონე ხალხის კეთილდღეობისა აღამაღლოს, გააძლიეროს მისი შემოქმედება, გარედ ეძებს ბაზარს, ამდიდრებს სხვა ერებს და შინ კი ისეთის ტემპით სოციალურად ვერ ვითარდება, როგორც საჭიროა. აქვე აღვნიშნე, რომ თვით გერმანიაც კი საოცარი სისწრაფით ზრდის თავის მრეწველობას ფრანგის კაპიტალით. ფრანგებს აქაც არ გაუძნელდათ ჩემთვის სიტყვა მოეჭრათ და ხელად ავიაციაზე გადავიდნენ. აღტაცებით ასწერეს ის საოცარი ზრდა ფრენის საქმისა, რომელიც ამ ორი—სამი წლის განმავლობაში საფრანგეთში მოხდა. მოიხსენეს ფრანგ მფრინავთა საარაკო მამაცობა და თავგანწირულება. მეც აღტაცებით ყურს ვუგდებდი. მართლაც, თუ კაცობრიობის ისტორიაში გიტაცებთ რომელიმე თავგანწირულ მკვლევარის ვეზალის წანწალი სამეცნიერო დაკვირვებათა მოსაპოვებლად, რომელიმე ალქიმიკოსის, რომელიმე როჟერბეკონის თავდადება და სადღაც ჯურღმულში მიუვალ სარკმელში მუშაობა, მაშინ როცა ხალხი მას სდევნის, კუდიანად და ბოროტი სულის ბუდედ აცხადებს, თუ თქვენ გიტაცებთ ქიმიკოსთა თავდადება, თავდავიწყება, დღეს როცა ყოველივე სამეცნიერო კვლევა-ძიებას არამც თუ ხელს არ უშლიან, არამედ კულტურულ ქვეყნებში, როგორც საზოგადო ისე კერძო დაწესებულებანი, ხელს უმართავენ და თვით მუშაობაც აღარ წარმოადგენს არავითარ საშიშროებას, ჰაერში ფრენა, ავიაცია, ერთად-ერთი სფეროა ადამიანის შემოქმედებითი მუშაობისა, სადაც უკიდურესი თავგანწირულება და ვაჟკაცობა ისე შეზავებულია, რომ, თუ გული მთლად დახავსებული არა გაქვს, უნებლიედ შენც აღტაცებაში მოსდიხარ, შენც განიცდი, თუ არა რეალურად, სულიერად მაინც, ერთნაირ გატაცებას და სურვილს ამაღლდე ჩვეულებრივ ყოველ-დღიურ არარაობისაგან. მე არა მგონია, ავიაციამ გაამართლოს ის იმედები, რომელსაც მას სამხედრო საქმეში ატვირთებენ. ის იქნება უმთავრესად, და შეიძლება მხოლოდაც, ჩინებული დასაზვერავი და ცნობების მისაწდომი საშუალება. სამგიეროდ ავიატორთა მუშაობამ მეტად ხელი შეუწყო ეროვნულ გრძნობის გამოღვიძებას, ხალხის გამოფხიზლებას. ყოველ ხალხს, ისეთ მაღალ კულტურისასაც კი, როგორც საფრანგეთია, ესაჭიროება დროგამოსიამოვნებით მიეგება. მხოლოდ ქალაქის თვითმმართველობის მესვეურთ დაესვათ ლახვრად ეს ახალი პროექტი.

ვინ იცის, იქნება უმთავრესი წყარო უკმაყოფილებისა ისიც იყოს, რომ ნავთლუღში აწეული ფასი ისევ დაეცემა. მაგრამ ეს კიდევ საბუთს არ გვაძლევს უკუვაგდოთ საბურთალოს პროექტი, რომლის წინააღმდეგაც ნავთლუღის პროექტის დამცველებს ჯერ არც ერთი საბუთი არ წამოუყენებიათ. სანამ ასეთი კრიტიკის ქარ-ცეცხლში არ იქნება გატარებული ორივე პროექტი, არ შეგვიძლიან უპირატესობა ხელ-აღებით ნავთლუღს მივსცეთ.

მაგრამ ნიგოიტსკის წერილი სხვაფრივაც არის საინტერესო. იგი გამოჭხატავს ერთი ცნობილი წრის სულისკვეთებას, იგი ნათლად გვიმტკიცებს, რომ სწორედ ქალაქის თვითმმართველობის მესვეურნი სარგებლობენ უბნის პატრიოტიზმით (არ უნდათ დაინახონ ის, რასაც ყველა ნათლადა ჰხედავს.

ამიტომ, დარიგება თუ სჭირდება ვისმეს, ისევ იმით, ვინც ნავთლუღს ებღაუჭება და თვალსაჩინო უპირატესობას საბურთალოს პროექტისას ვერა ჰხედავს.

არ. ჯ—შვილი.

ეპისკოპოსი ანდრია და ქართული ეკლესია

(წერილი სოხუმიდან).

არ შეიძლება თანაგრძნობა არ აღინიშნოს ის არაჩვეულებრივი ყურადღება, რომლითაც ჩვენ საეკლესიო საქმეს ეკიდება სოხუმის ახლანდელი ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ანდრია. ჩვენს დროში, როცა ვოსტორგოვები ბატონობენ, რომელნიც სიამოვნებით სთელავენ ყოველ ჩვენს უფლებას და ყოველ ნაბიჯზე შეურაცხყოფენ ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას, ჩვენს გრძნობებს, ისეთ ადამიანების გამოსარჩლება ღ. გამოქომაგება, როგორიც არიან რუსი პუბლიცისტი დურნოვო და რუსი ეპისკოპოსი ანდრია, მეტად დასაფასებელია. ეპისკოპოსმა ანდრიამ ჩამოსვლისთანავე სულ სხვა თვალით შეჰხედა თავის სამწყსოს, —არამტრულად, არამედ როგორც კეთილი მსურველი და პატივისმცემელი მისთვის უკეთ ერისა. ვიმეორებთ, ასეთ მოპყრობას ჩვეულნი არა ვართ...

უპირველესად ყოვლისა ყოვლად სამღვდელო ანდრიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ძველი, დანგრეული საყდრების აღდგენას; ძველებური ეკლესია აფხაზეთში „ბედიის მონასტერი“ სრულიად მივიწყებული იყო; ყოვლად სამღვდელო ანდრიამ, ენერგიით მოჰკიდა ხელი ამ ქართულ სასულიერო კულტურის ნაშთის აღდგენას; მანვე გამოსძებნა ღრმა რწმენით აღსავსე მოხუცი ქართველი ბერი იესე შელია, რომელიც წაახალისა ამ საქმისათვის სამოღვაწეოდ და საზრუნველად. პირველად მართლა შეუძლებლად მიაჩნ[illegible] [illegible]ვებით ასეთი მუჯლუგუნი, ასეთი საერთო აღფრთოვანების გამომწვევი, გამამხნევებელი, შემოქმედება. ძველია ქართველისათვის ამაყ თავ-მომწონე ფრანგთან ლაპარაკი. შენ მისთვის ერთი ვიღაცა უცნობი, უმნიშვნელო ოდნობა ხარ. ის კარგად იცნობს ჩერნოგორელს, ალბანელს, ბერძენს, ყველას, ვისაც თავისუფალი სუნთქვა შეხუთული არ აქვს, ან მაინც ვინც ამ ჰაერის ძებნაში იტანჯება და იბრძვის.

ალოთი მოვძებნე ჩემ თანამგზავრთა შორის ჩემისთანა პიროობებში მყოფი ერის შვილები. აქ აღმოჩნდნენ ქართველი ერის ისტორიული თანამყოლნი: ებრაელი და სომეხი. ებრაელი იყო ოსმალეთის ქვეშევრდომი ისპანიიდან გადმოხვეწილთა ჩამომავალი. მოგეხსენებათ, ისპანიამ, ამ ინკვიზიციისა და აუტო-დაფეს სამშობლომ, ვერ შეიგუა ებრაელობა ღ ერთბაშად გამორეკა თავისი საზღვრებიდან. მხოლოდ ერთ ებრაელს, ყოფილ მინისტრს ნება მისცეს დარჩენილიყო, მაგრამ იმანაც არ მოინდომა დევნილ ძმებისთვის თავი დაენებებინა. ამნაირად მთელი ისპანია ებრაელობით დაიცალა. უმრავლესობამ ოსმალეთს შეაფარა თავი. უნდა ვაღიაროთ, არც ერთ ქვეყანაში ებრაელებს ისე კარგად არ ეპყრობოდნენ, როგორც ოსმალეთში. აქ ებრაელს არ ახსოვს აკლება, დევნა, დამცირება, რომელიც მას თან სდევდა წინედ ევროპის ყოველ კუთხეში და რომელიც დღესაც თან დასდევს ზოგიერთ ბარბაროსულ ქვეყანაში. ებრაელი აღმოჩნდა პარიზის უნი-

ყველას ეს აზრი. ძველი დროის დიდებული მონასტერი რამოდენიმე საყდრით ერთად, სადაც ყოველივე მოწყობილება, თავშესაფარი ბერებისათვის ყოფილა, დროთა ვითარების გამო დანგრეულა, ყოველივე ეკლესიანი და ხუროთმოძღვრების ნაშთები წაშლილა და, აი, ახლა უცხოელი ეპისკოპოზი გულმოდგინედ, გაცხარებით მოქმედებს ძველ ქართულ კულტურის ნაშთთა აღსადგენად.

მღვდელ-მთავარმა ანდრიამ სატახტო ქალაქის გაზეთებში წერილის მოახდინა რომ მთელ რუსეთის იმპერიაში არსებულ ეკლესიებში შემოწირულება მოითხოვოს აფხაზეთში ნანგრევი საყდრების აღსადგენად; ამ გარემოებამ ცნობილი მენშიკოვის კრიტიკაც კი გამოიწვია; ის გულ-ნატკენად სწერდა იმის გამო, რომ რუსის ეპისკოპოზი რუსეთიდან იწვევს შეწირულებას ქართველთა ეკლესიების აღსადგენლად; მიუხედავად ამისა, ეპ. ანდრიას მოქმედებამ შიზანს მიაღწია. დღეს ბედიის ეკლესიის განახლების საქმე უზრუნველყოფილია. რა თქმა უნდა, მთავარი სასულიერო მმართველობა ჩვენში და ადგილობრივი სამღვდელოება—რუსები—სრულიად არ ემადლიერებიან ეპისკოპოს ანდრიას ასეთი მოღვაწეობისათვის.

ამ ჟამად მღვდელ-მთავარ ანდრიას გულითადი სურვილი ის არის, რომ სოხუმში წმ. ნინოს სახელზე ქართული ეკლესია ააშენოს. ამ მიზნით მან მხურვალე მოწოდებით მიმართა ადგილობრივ ქართველთ; მოწოდება გაზეთ „სოხ. ლისტოკ“-ში დაიბეჭდა და ამასთანავე გიგზავნით. თქვენ დაინახავთ, რომ ახლანდელი სოხუმელი ეპისკოპოსი ძალიან შორსა სდგას იმ ანაფორიან პოლიტიკოსებისაგან, რომელნიც „მზად არიან სრულიად გაანადგურონ ყოველივე ჩვენი ეროვნული დაწესებულება, ჩვენი ენა და კულტურა.

ანდრია ეპისკოპოსის მოწოდება ქართველ საზოგადოებისადმი

„მივმართავ ყველას, ვისაც ესმის ქართული და მეგრული, მაგრამ არ იცის რუსული ან სლავიანური. განსაკუთრებით ვთხოვ ყურადღება მიაქცევენ ქვემორე ნათქვამს იმათ, ვინც ორგზის უკვე ლოცულობდა ჩემთან ერთად 14 იანვარს წმ. ნინოს დღესასწაულის დღეს.

დაიწყო დიდმარხვა. გულწრფელი, კეთილი მართლმადიდებელი ქრისტიანები მიისწრაფვიან ამ ჟამად ღვთის ტაძარში, რათა გულმოდგინედ და გულმხურვალედ განიცადონ ლოცვის სიტკბოება; მიისწრაფვიან იგინიც, ვინც არ იცის საეკლესიო—სლავიანური ენა, ქართველები ჩემთან—ჯვარის ეკლესიაში მოდიან. საბრალონი! მათ სრულიად არ ესმით ლოცვის სიტყვები, ვერ მოისმენენ თავის საეკლესიო გალობას, რადგან [illegible]ბარხვის მეორე კვირიდანვე [illegible]ელმსახურება სლავიანურ ენაზე [illegible]ლდება, ვინაიდან ყოველად შეუ-

ვერსიტეტში კურს დასრულებული იურისტი, კაცი განათლებული და ზედმიწევნით მცოდნე თავის ერის ყოფა-ცხოვრებისა. ისპანიიდან გადმოსულ ებრაელთ დაუცავთ ისპანური ჟარგონი, მაგრამ თან და თან ძველ ებრაულსაც სწავლობენ. მართლაც, ეს მეტად საგულისხმიერო ფაქტია ებრაელთა ცხოვრებაში. ამ უკანასკნელ დროს ისინი ცდილობენ აღადგინონ თავიანთი ძველი ენა, ენა წინასწარმეტყველთა, ბევრი ცნობილი მწერალი მხოლოდ ძველი ენით სწერს, პერიოდული გამოცემანიც გამოდის ამ ენაზე. აშკარაა, ხალხი მას თანდათან ეჩვევა და აცოცხლებს არა მარტო პალესტინაში, სადაც უკვე ძველი ებრაული ჩვეულებრივ ყოველ დღიურ ხმარების ენაა, არამედ სხვა ადგილებშიაც. შევჩივლეთ ერთმანეთს ჩვენი დარდები და ხელად ჩვენ შორის გაიმართა მეგობრული კავშირი, ურთიერთ თანაგრძნობა, რომელსაც უსათუოდ საფუძვლად ედვა საერთო ტანჯვა-წამების გაზიარება. ვერ ვიტყვი ამასვე სომხის შესახებ. როცა ერთმანეთს ვეცნობოდით, მე რომ ჩემი ქართველობა დავასახელე, მის სახეზე საოცარი გაკვირვება წავიკითხე. მან აშკარად მიმართა ფრანგებს, განა ასეთი ერი ქვეყანაზე არსებობსო! შემდეგ, როცა აუხსენი, შემოსძახა, თქვენ კავკასიელი ყოფილხართო. ამის შემდეგ ვერაფერი გზით ვერ ვათქმევინე სიტყვა **ქართველი**, სულ კავკასიელს ბრძახდა, თუმცა, შემდეგ, როცა ცალკე ვიყავით, კერძო ლაპარაკში გამოირკვა, მშვენივრად გვიცნობ-

ᲛᲝᲬᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ,

რომ ვინც **პირველ აპრილისთვის** ხვედრ ფულს (2 მან.) არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა

ᲛᲝᲔᲡᲞᲝᲒᲐ.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ქართველი ჰეროსტრატე.

„როს აქლემი ცასა ზომდეს,
ზაქმა სიბრძნე იჩინოსა,
ჯორი შობდეს, ვირი ბჭობდეს.
მწყერი სდევდეს ზიმინოსა“...

ხალხური.

უცნაურია ადამიანის ბუნება: ბევრ სიკეთესთან ერდად მას ისეთი რამეც ახლავს, რომელიც ზედმეტ ბარგად აუკიდია მისთვის ბუნებას.

აი, თუნდ—სახელისა და დიდების მოხვეჭის წყურვილი.

რა დააკლდებოდა, მაინცა და მაინც, ადამიანის სულის ღირსებას, რომ ისიც მასში ჩაკვანძული არ ყოფილიყო.

მერე რამდენი ზარალი მოუტანია ამ უკურნებელ სენს, როგორც პირადად მათთვის, ვისაც იგი შეჰყრია, ისე საზოგადოებისა და კაცობრიობისათვის.

მაგალითი გნებავთ?

სახელისა და დიდების წყურვილმა „ღვთაებრივ“ ცეზარს საკუთარი სისხლის დანთხევა მოსთხოვა სამაგიეროდ.

სახელის ტრფიალით განდიდებულს „პატარა კორსიკანელს“ ბედმა წმ. ელენეს კუნძული არგუნა საუფლოდ.

რასაკვირველია, რაც გმირებს ეპატიება, ის კაცუნებს ყოველთვის მოსაკვდინებელ ცოდვად ჩაეთვლება.

და სწორედ ამ გარემოებაშია ჩამარხული ზემოხსენებული სენის საშინელი ტრაგედიაც: ყველი ხომ ცეზარ—ნაპოლეონობას ვერ გასწევს!

მაშ, რითი ისახელოს თავი?

მოგეხსენებათ, რომ ძველმა ჰეროსტრატემ ბევრჯერ იმტვრია თავი ამ საბედისწერო კითხვის ასახსნელად და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სახელის მოსახვეჭად არტემიდის დიდებულ ტაძარს ცეცხლი მისცა.

მართალია წადილი აისრულა, მაგრამ მაღლიერმა კაცობრიობამ მის სახელს უფრორე შესამკობლად ეპიტეტი „სულელი“ მიუმატა.

დიდი ხანია მას აქეთ, მაგრამ დროსა და ჟამს აბა რა ხელი აქვს იქ, სადაც მარადისობაზეა ლაპარაკი.

სულელი ჰეროსტრატე დღესაც ცოცხალია!

და, აჰა, მისი სახელი მოსვენებას არ აძლევს მის ქართველ მოძმეს „ახალგაზდა მეცნიერს“.

„რა ვუყოთ მერე, რომ ჰეროსტრატეს სახელს უვიცებმა სულელი მიაკერეს—ამბობს იგი—მისი ხსენება ძაინც უკვდავია, მე მშურს იგი“.

რადგანაც ქართველებს, მოგეხსენებათ, არტემიდას ტაძარი არ აქვთ, ჩვენმა „მეცნიერმა“ იფიქრა, იფიქრა და ქართველთა სულიერი ტაძრის დაწვა გადასწყვიტა.

ჰეშმარიტად, იგი უფრო გამჭრიახი გამოდგა თავის სულელ წინაპარზე: ბერძენთა ჰეროსტრატემ თუმცა ლამაზი, მაგრამ მაინც ქვა დასწვა, ქვა ხელოვნების ნაშობი, მაგრამ თვით მშვენიერების დასაბამს კი ვერ მისწვდა მისი მზაკვრული ხელი.

მისი ქართველი მემკვიდრე კი პირდაპირ ერის შაშველ სულს უკიდებს ცეცხლს.

„ჩემის ახალი გამოკვლევით სრულიად იფანტება ის პატრიოტული ბურუსი,—მსჯელობს იგი თვისი, ფეტვ-ს მარცვლის ჩანასახისოდენა ტვინით—რომელიც დღემდე აბრუებდა „ვეფხის ტყაოსნის“ მკვლევართ. მე მაქვს ერთი დოკუმენტი, რომელიც „სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში“ აღმოვაჩინე... იყო და არა იყო რა—განაგრძობს იგი ზღაპრული ენით—იყო ბორჩალოს მეფე დავითი, რომელსაც უყვარდა აფხაზეთის მეფის ქალი, სახელად თამარი. რადგან მეფემ თვით წერა არ იცოდა, უბრძანა თავის ხელქვეითს შოთას: „დასწერე ქება მიჯნურისა ჩემისა და ფიცხლავ წარმომიდგინე, თუ არა და თავის მოჭრა არ აგცდებაო“...

სწორედ ისე, როგორც ზღაპარშია!

„შოთამაც აიღო, თურმე, სპარსულიდან თმოგველის მიერ ნათარგმნი ამბავი, გაიხსნა საკინძე, დაჯდა და გალექსა, წელსა ქრისტეს დაბადებიდან 1412-სა, რისთვისაც მადლიერმა ბორჩალოს დიდმა მეფემ თვალსაჩინოდ დაასაჩუქრა მანამდე უმნიშვნელო თვისი მოხელე“.

რის ოქროს ხანა, რის შემოქმედებითი ნიჭი?!..

„Заказали, а онъ сѣлъ да сочинилъ!“

ისე, როგორც ხარაზისთვის წუღა შეგიკვეთნია!

ჰეშმარიტად, რომ დღესაც ცოცხალია სულელი ჰეროსტრატე!

ძირტკბილა.

სახალხო სკოლები განსაცდელშია

(წერილი ქუთაისიდან).

(დასასრული *)

ასე თუ ისე, ქალაქის დაწყებით სკოლებს ჭირისუფალი გაუჩნდა ქალაქის თვით-მმართველობის სახით, რომელიც მათ გამოესარჩლა. მაგრამ რა მდგომარეობაში იმყოფება უჭირისუფლო და უპატრონო სოფლის დაწყებითი, ეგრე წოდებული „სამინისტრო“ სკოლები? 81 წლის სასწავლო გეგმის თანახმად სწარმოებს იქ სწავლა, თუ მათი ბედიღბალი დამოკიდებულია ინსპექციის სურვილზე? სოფლის სამინისტრო სკოლებშიაც, რასაკვირველია, 81 წლის გეგმით უნდა ხელმძღვანელობდნენ; მიუხედავად ამისა, იქ ხსენებული გეგმის. ჭაპანებაც კი არ არის. მასწავლებლები ადგილობრივ მთავრობის ყურ-მოჭრილ მონებად გამხდარან და ხმის ამოუღებლად ასრულებენ მის ყოველგვარ ბრძანებას, თუნდაც ეს ბრძანება არა თუ საღი პედაგოგიკის მოთხოვნილებას ეწინააღმდეგებოდეს, პირდაპირ არსებულ კანონის წინააღმდეგიც იყოს.

სოფლის საზოგადოებებმა არც კი იციან, თუ რას წარმოადგენს 81 წლის გეგმა, და კიდეც რომ იცოდნენ, ვინაა პატრონი, რომ მათ გამოესარჩლოს და გზა უჩვენოს! სოფლის მასწავლებელები არამც თუ წინააღმდეგობას არ უწევენ ადგილობრივი სამოსწავლო მთავრობის უკანონო მოთხოვნილებათ, პირიქით, ბევრი მათგანი მეტს ერთგულებასაც კი იჩენს გამბრუსებელ პოლიტიკის გაძლიერებაში და მთავრობის მოთხოვნილებას კიდეც აჭარბებს. აი, ამით აიხსნება, რომ ზოგიერთ სამინისტრო სკოლებში ქართული ენა სრულებით გახდევნილია, თუმცა ეს ოფიციალურად მაინც მათგან არავის მოუთხოვნია. დანარჩენებში თუმცა ასწავლიან ქართულ ენას, მაგრამ ასწავლიან ისე, რომ ბავშვებმა ვერაფერი ისწავლონ; თითქოს განგებ ცდილობენ, რომ ქართული ენა შეაძულონ და დაავიწყებინონ ბავშვებს.

ეს არის ხელში ჩაგვივარდა ადგილობრივ სამოსწავლო მთავრობის მიერ სოფლის მასწავლებლებისადმი დაგზავნილი მიწერილობის პირი, რომლითაც ის წინადადებას აძლევს მასწავლებლებს 8 კითხვაზე მისცენ პასუხი. მიწერილობაში, სხვათა შორის, ასეთი კითხვებია დასმული: ა) რუსული ენის სწავლების რომელ წესს უფრო სასარგებლოდა სცნობთ დაწყებით სასწავლებლებში? ბ) თუ რუსული ენის სწავლება ოქვენი სასწავლებლების 1 განყოფილებაში სამოსწავლო წლის პირველი ნახევრიდან დაიწყეთ (ე. ი. სექტემბრიდან), რა გავლენა იქონია ამან საზოგადოდ მეცადინობის მიმდინარეობაზე? გ) რომელ სახელმძღვანელოებს რუსული და ქართული ენებისა საუკეთესოდა სცნობთ ამა თუ იმ განყოფილებაში? და სხ.

როგორა გგონიათ, მკითხველო, რა პასუხს მისცემენ სოფლის მასწავლებლები ადგილობრივ მთავრობას ამ კითხვაზე? ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მასწავლებლების უმეტესობა ისეთს პასუხს მისცემს მთავრობას, როგორც უკანასკნელს ესიამოვნება, ესე იგი, მოწიწებით მოახსენებენ მთავრობას: ა) საუმჯობესოდა ვცნობთ, რომ დაწყებით სასწავლებლებში მუნჯური მეთოდით სწარმოებდეს სწავლა; ბ) რუსული ენის სწავლება ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებლის პირველ განყოფილებაში სექტემბრიდანვე დავიწყეთ და ჩინებული შედეგი მოიტანა; გ) რუსული ენის სახელმძღვანელოდ დაწყებით სასწავლებლებში საუმჯობესოდა ვსცნობ ლევიტსკის სახელმძღვანელოს (ან სხვა ამგვარ სახელმძღვანელოს) და სხ.

აი, ასეთ პასუხებს დაავლებს ხელს ადგილობრივი სამოსწავლო მთავრობა და უმაღლეს მთავრობას წარუდგენს იმის დასამტკიცებელ საბუთად, რომ თვითონ სოფლის მასწავლებლები თხოულობენ 81 წლის გეგმის, როგორც უვარგისისა და ცხოვრებასთან შეუფერებელის, შეცვლას.

შემდეგ კი, თუ მთავრობამ ასეთი საბუთი ხელში ჩაიგდო, ბევრიც რომ ვიმტვრიოთ თავი და ვუმტკიცოთ უმაღლეს მთავრობას, მასწავლებლების პასუხი იძულებითი იყო, ადგილის დაკარგვის შიშით მათ სიმართლე ვერ აღიარესო, კაცი ყურადღებას არ მოგვაქცევს.

და ეს რომ არ მოხდეს, აუცილებლად საჭიროა მიღებულ იქმნეს ყოველი ღონისძიება, რომ დაწყებით სასწავლებლებში, ქალაქისა თუ სოფლისაში, დაცული იქმნეს 81 წლის სასწავლო გეგმა.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ ორი საშუალება.

ერთი ისა, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ თავს იდვას ამ საქმის ინიციატივა და აღძრას სათანადო შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ რუსული ენის სწავლება სწარმოებდეს თანახმად 81 წლის სასწავლო გეგმის მოთხოვნილებისა.

მეორე მხრით აუცილებლად საჭიროა, რომ საზოგადოების ყოველმა შეგნებულმა პირმა ურჩიოს სოფლის მასწავლებლებს, კიდეც მოსთხოვოს მათ, რომ არ ჩაიდინონ სამარცხვინო საქმე, არ უღალატონ სინიდისს, არ უღალატონ მასწავლებლის წმიდა მოვალეობას და, ადგილის დაკარგვის შიშით, ფარულად, ერთმანეთის დაუკითხავად, არ დაადასტურონ ის უკანონო და ანტიპედაგოგიური მოთხოვნილება, რასაც მათ ყურში ჩასჩურჩულებენ.

ჩვენ სრულიადაც არ ვთხოულობთ სოფლის მასწავლებელთაგან, რომ მათ რამე მოსაზრებით სიცრუე სთქვან; წინააღმდეგ, ჩვენ ვთხოულობთ, რომ მათ სრული სიმართლე, სრული ჭეშმარიტება, აღიარონ და ისეთი პასუხი მისცენ მთავრობას, რასაც უკარნახებს მათ სინიდისი, საღი პედაგოგიკა და არა პოლიტიკანების სურვილი.

ნუ დაავიწყდებათ სოფლის მასწავლებელთ, რომ ისინი საშვილიშვილოდ სამარცხვინო ბოძზედ იქმნებიან გაკრულნი, თუ მათ ნივთიერისა, თუ სხვა რამ მოსაზრებით, სინიდისს უღალატეს და სიყალბე ჩაიდინეს.

ისარა.

სასამართლო

თავ. დადეშქელიანის მოკვლის საქმე.

დღეს, 21 მარტს, ბაქოში ტფილისის სასამართლო პალატის სესსია შეუდგება უგან. **თავ. დ. დადიანისა, თ დ ბ. დადეშქელიანის მეუღლისა, დ. კახიძისა, ბ. ალშიბაიასი, ლ. ბობოხიძისა** და **ა. ბაკურაიას** საგაპელაციო საქმის განხილვას. ზემოდ-ჩამოთვლილ პირთ ჰბრალდებათ თ-დ ალექსანდრე დადეშქელიანის მოკვლა. პირველად ეს საქმე კავკავის ოლქის სასამართლოში გაიხრა 1911 წლის 12 დეკემბერს. საქმის განხილვა 7 დღეს გაგრძელდა. ოლქის სასამართლომ საბუთებისა და მოწმების ჩვენებათა მიხედვით დამტკიცებულად სცნო, რომ თ-დ დ. დადიანის შთაგონებით და ფულის დაპირებით, თ-დ დადეშქელიანი მოჰკლეს ოვლერიერთ ბრალდებულებმა. ამიტომ სასამართლომ დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა: თ-დ დ. დადიანს—20 წლის კატორღა, ბობოხიძეს და ალშიბაიას—თითოს 12 წლის კატორღა, კახიძეს—10 წლის კატორღა, ბაკურაიას კი რვა თვის საპყრობილე. თ-დ დადეშქელიანის მეუღლე კი სასამართლომ გაამართლა. ბრალდებულთ საქმე პალატაში განსაჩივრეს, მაგრამ თ-დ დადიანის თხოვნით საქმის განხილვა კავკავიდან გადაიტანეს ბაქოში. ბაქოში პირველად საქმე დანიშნული იყო 15 იანვარს; მაგრამ დამცველებმა შუამდგომლობა აღძრეს, დამატებითი გამოძიება მოეხდინათ და ზოგიერთი მოწმე გამოეწვიათ. ამის გამო საქმის განხილვა კვლავ გადაიდო და დღეს ხელმეორედ ირჩევა.

სხვა და სხვა ამბავი

✦ კოკოვცევის გადადგომა. გაზ. „ფიგარო“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი დაბეჯითებით იტყობინება, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი ამ ახლო ხანში თანამდებობიდან უეჭველად გადადგება. კოკოვცევი დაინიშნება პარიზში რუსეთის ელჩად, ნაცვლად იზვოლსკისა, რომელიც ლონდონში გადაჰყავთო.

ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲦᲛᲘ

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲑᲘ.

18 მარტი.

სოფია „მირი“ უარჰყოფს უცხოელ გაზეთების ცნობას, ვითომც შუქრი-ფაშას უნდოდა სერბიელებს დაჰნებებოდა. ნამდვილად შუქრიფაშა ბულგარებმა შეიპყრეს მაშინ, როცა იგი თვის არქივსა სპობდა.

სტამბოლი ხმები დადის, ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალს ეცნობა, 20 მარტიდან საომარი მოქმედება შეაჩერეო. ეგვიპტიდან ქიამილ-ფაშას მოელიან.

ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ადრიანოპოლის აღების დაწვრილებითი ცნობა.

უცხოეთის გაზეთები მეტად საინტერესო ცნობებს გადმოგვცემენ ადრიანოპოლის აღების შესახებ. იერიშის დღეს ადრიანოპოლის მიდამოები სქელ ნისლში იყო, თურმე, გახვეული, რამაც დიდად შეუწყო ხელი ბულგარელების ჯარის მალულად მოძრაობას. ჯარისკაცები შეიარაღებული ყოფილან საგანგებოდ იერიშისთვის დამზადებული ფოლადის ფარებით. მათი შემწეობით საპიორები მცირე ზარალით მიახლოებიან ეკლიან მავთულის ხლართულებს და დაუწყვეტიათ იგი ნაჯახებითა და მაკრატლებით; როდესაც ასპარეზი გაუთავისუფლებიათ, ქვეითა ჯარს წინ გაურეკია პირუტყვთა დიდი ჯოგი და მათი შემწეობით აუფეთქებია მიწაში დაფლული ფუგასები და ნაღმები, შემდეგ კი პირდაპირ ხიშტით სცემია სანგრებში გამაგრებულ ოსმალებს. ციხის უფროსი შუქრი-ფაშა თვისი შტაბით ქალაქის მუსულმანთა უბანში ყოფილა გამაგრებული, სადაც საშინელი ხელჩართული ბრძოლა გაჩაღებულა პირდაპირ ქუჩებში. მარტო ამ უბანში დაღუპულა ათი ათას კაცამდე, მათ შორის ბევრი მოქალაქეც. შუქრი-ფაშა დარწმუნებულა ასეთი ჭლეტის უაზრობაში და ღრძანებია თეთრი დროშის გამოკიდება. მოკავშირეთა ჯარი მაშინვე შეეკრილა შუქრი-ფაშის სადგომში და შტაბიანად დაუტყვევებია იგი.

მოკავშირეების ნადავლი.

გერმანული გაზ. „ფრანკფურტერ ცეიტუნგის“ ცნობით, ადრიანოპოლის აღების შემდეგ მოკავშირეებს ტყვედ ჩავარდნიათ: 51.000 ჯარისკაცი, 1220 აფიცერი—მათ რიცხვში

64 გერმანელია, 18 რუმინელი და 5 ბელგიელი; 14 ფაშა, ამათში დივიზიის ოთხი და ბრიგადის 8 ენერალი. დავლად აუღიათ: 54.000 მაუზერის სისტემის თოფი და 600 ზარბაზანი. ციხე არ არის ძლიერ დაზარალებული, რადგან მოკავშირეთა ჯარი ისეთი სისწრაფით შეეჭრილა, თურმე, ქალაქში, რომ შუქრიფაშას ვეღარ მოუსწრია სავსებით აფეთქება ყველა ფორტისა. ნადავლის ღირებულება 90 მილიონ მან. აღემატება, რომელსაც პირობებისსამგრო შუაზე გაიყოფენ ბულგარელები და სერბიელები. იმავე გაზეთის ცნობით, ციხის აღების დროს, ბულგარელებისთვის მოუკლავთ და დაუჭრიათ 5,000 ხოლო სერბიელებისთვის 1.300 კაცი. დიდად უსახელებია თავი სერბიის მე-13 და 23 პოლკებს.

გალკანეთი და ევროპა

დეკეშები.

19 მარტი.

ლონდონი. რეიტერის ცნობით, სერბია არა სთანხმდება დიდ სახელმწიფოთა წინადადებას, დაპყრობილ ადგილებში უზრუნველჰყოს სარწმუნოების თავისუფლება. სერბიის კონსტიტუცია და მისი სპეციალური კანონები საკმაოდ უზრუნველჰყოფენ სარწმუნოების თავისუფლებასაო.

ლონდონი. რეიტერს შეუტყვია, დიდ სახელმწიფოთა გადაწყვეტილება ჩერნოგორიის წინააღმდეგ საზღვაო დემონსტრაციის მოხდენის შესახებ. ამ საკითხში ყველა სახელმწიფო შეთანხმდა. ჩერნოგორიის სანაპიროებისკენ სამხედრო გემები გაიგზავნება. ჰფიქრობენ, დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის, ავსტრიისა და იტალიის გემები. გერმანია მონაწილეობას არ მიიღებს, რადგანაც ჩერნოგორიის მახლობლად გერმანიას გემები არა ჰყავს. რუსეთი გემებს არა ჰგზავნის, თუმცა დიდ სახელმწიფოთა მოქმედება მოსწონს; რუსეთის აზრით სახელმწიფოთა კოლექტიური ნაბიჯი სრულიად არ ეთანხმება ბალკანეთის მოკავშირეთა ინტერესებს.

არც ჩერნოგორიასა და არც სერბიას ოფიციალურად არ შეუთვლიათ პასუხი დიდ სახელმწიფოთათვის სკუტარის და ალბანეთის საკითხზე, თუმცა არა ოფიციალურად აცნობა ორივე სახელმწიფომ, რომ პასუხის მისაცემად მოელაპარაკება მოკავშირეთა სახელმწიფოებს. ამავე დროს, რეიტერის სიტყვით, სერბიას უნდა გავლენა იქონიოს ჩერნოგორიაზე და დაიყოლიოს იგი, რომ დიდ სახელმწიფოთა სიმპატია არ დაჰკარგოს (შენიშვნა). დეპეშათა პეტერბ. სააგენტო თავის მხრით იტყობინება: რუსეთის აზრი საზღვაო დემონსტრაციაზე, რომელიც ზემოდ აღნიშნულია, სიმართლეს არ შეეფერებაო.

პარიზი. ჰავასი იტყობინება: ცნობა, ვითომც საფრანგეთი მონაწილეობას მიიღებს საზღვაო დემონსტრაციაში, ნამდვილი არ არის. ჰავასის ცნობით, ინგლისიც სრულიად ეთანხმება საფრანგეთს და მონაწილეობას არ მიიღებს საზღვაო დემონსტრაციაში; საფრანგეთი ჭგზავნის ჯავშნოსანს კორფში, რათა კავშირი იქონიოს ინგლისთან, რომელმაც ორი გემი გაგზავნა კორფში.

ბერლინი. მცირე ჯავშნოსანს „ბრესლაუს“ ებრძანა წავიდეს ადრიატიკის ზღვაში საზღვაო დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად.

პეტერბურგი. სააგენტოს ცნობით, რუმინია-ბულგარეთის დავის თაობაზე ელჩთა თათბირის პირველი სხდომა მხოლოდ შესავალი იყო. მიუხედავად ამისა, ეხლავე გამორკვეულია დიდ სახელმწიფოთა შეხედულება ამ საკითხზე. რუმინიის და ბულგარეთის მთავრობის აზრი მუშაობის დაწყებამდე უკვე ცნობილი იყო. ბულგარეთის და რუმინის წარმომადგენელთა მიერ შეგროვილი მასალა კონფერენციის აზრთა გაზიარების საგანი იყო. მუშაობის დაწყებამდე, თავმჯდომარის წინადადებით, ბულგარეთის და რუმინიის ელჩებმა—ბობჩევმა და ნანომ ოფიციალურად წარადგინეს მემორანდუმი და საბუთები, რომელშიაც აღნიშნულია დავის აღორძინების ისტორია, მისი დღევანდელი მდგომარეობა და დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეხედულება ამ საკითხზე. კონფერენციის წევრებმა დავის სასურველად გადაწყვეტის დიდი იმედი გამოსთქვეს,

ვენა. მთელი პრესა ჩერნოგორიის წინააღმდეგ არის ამხედრებული. „რეიხს-პოსტს“ საზღვაო დემონსტრაცია სუსტ საშუალებად მიაჩნია; იგი რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებს, ჩერნოგორიას აქეზებსო. გაზეთი საბერძნეთსაც ეხება და დასძენს, ალბანეთის დაპყრობილ ადგილებს ვერ დაიბრუნებსო. ეს მოულოდნელი შეფერხება, გაზეთის აზრით, რუსეთის მოქმედებით არის გამოწვეული. „ნეის-ვინერ ტაგებლატი“ ჩერნოგორიის საქციელს ევროპის მასხარად აგდებას უწოდებს.

სტამბოლი. „ტანინის“ სიტყვით, დღეს ოსმალეთმა სრული თანხმობა გამოაცხადა სახელმწიფოთა მიერ შემუშავებულ პირობების მიღებაზე.

ბუდაპეშტი. ნახევრად ოფიციოზი „ბუდაპესტი-ხირლაპი“ და სხვა გაზეთები სასტიკად ჰგმობენ რუსეთის ორპირულ საქციელს ჩერნოგორიის საკითხში.

სტამბოლი. გარეშე საქმეთა მინისტრმა გადასცა ავსტრიის ელჩს დიდ სახელმწიფოთა ნოტის სპასუხო ნოტა. სააგენტოს კორესპონდენტის სიტყვით, ოსმალეთი იღებს დიდ სახელმწიფოთა ძირითად დებულებას და ზოგიერთ წვრილმანებში კი არ ეთანხმება.

დეკეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

19 მარტი.

საზღვარ-გარედ

ბუქარესტი. პალატაში შეტანილი ხარჯთ-აღრიცხვა, შარშანდელთან შედარებით, 28 მილიონი მანეთით არის გადიდებული.

რომი. იზმაილ-ქემალი მოვიდა.

მადრიდი. მეფემ საფრანგეთ-ესპანეთის ხელშეკრულება დაამტკიცა.

ტოკიო. გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელე იამაზა დაინიშნა პეკინში ელჩად. იამაზას ერთ გაზეთის კორესპონდენტისთვის განუცხადებია: ინგლისის იაპონიისადმი გულგრილობა გამოწვეულია ინგლის-რუსეთის მეგობრობითაო; თუმცა იამაზას საჭიროდ მიაჩნია ინგლის-იაპონიის კავშირის განმტკიცება, რათა ჩინეთის მთლიანობა იყოს დაცული.

რუსეთი.

ვლადიმირი. ივანო-ვოზნესენსკის პოგრომის საქმის გამო სასამართლომ მიუსაჯა: 18 კაცს 5 თვ. და ათი დღით ციხე, 2 კაცს—ერთი წლით გამასწორებელი რაზმი, ხოლო 20 კაცი გაამართლა.

პეტერბურგი. შინამრეწველთა კრების მეორე სექციამ სასურველად სცნო, გააცნონ გლეხებს საფეიქრო წარმოების გაუმჯობესებული საშუალებები. ამ ძიზნით გაიმართება საფეიქრო მაჩვენებელი სასწავლებლები და გამოფენები.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭო, ამ მოკლე ხანში, განიხილავს სათათბიროს წევრთა საკანონმდებლო მოსაზრებას, რომ პრიბალტიის მხრის კერძო სასწავლებლებში, რომელნიც ვაპრობის და მიწათმოწყობის უწყებას ექვემდებარებიან, სწავლება ადგილობრივ ენაზე იყოს შეიღებული. მოსაზრებას მინისტრთა საბჭო არსებითად ეთანხმება, თუმცა საჭიროდ მიაჩნია მოსაზრება შეფარდებული იყოს კერძო სასწავლებელთა კანონ-პროექტის ძირითად დებულებებთან, რომელსაც მიხილავს სახელმწიფო საბჭო.

კიევი. მახნოვკაში, ბერდიჩის მაზრაში, აღმოაჩინეს ჰოლონელთა საიდუმლო სკოლა. მასწავლებელი ქალი სამართალშია მიცემული. სახლის პატრონი 390 მანათით დააჯარიმეს.

მოსკოვი. ქალაქის მოურავის მეორე კანდიდატად ამოირჩიეს პროგრესისტი პროფ. ჩაპლიგინი.

უცხოეთი

საფრანგეთის სოციალისტთა კონგრესი.

ბრესტში საფრანგეთის სოციალისტთა მეათე კონგრესი მოხდა. კონგრესის სხდომებმა ორ დღეს გასტანა. კონგრესის მთავარი საგანი იყო ბრძოლა სამხედრო სამსახურის სამი წლის ვადის კანონპროექტთან. ამ საკითხზე კონგრესმა განიხილა კომპერ-მორელის მიერ შემუშავებული რეზოლიუცია. რეზოლიუციაში ნათქვამია, სამხედრო სამსახურის სამი წლის ვადა ჰნიშნავს შოვინისტურ მისწრაფებათა ზრდა-განვითარებას; საჭიროა ამის წინააღმდეგ სოციალისტებმა ბრძოლა გამოაცხადონო. რაც შეეხება საფრანგეთისა და გერმანიის ურთიერთობას, ორივე სახელმწიფოს ერი მშვიდობიან განწყობილებაშია და მხოლოდ იმას უნდა სცდილობდეს, იარაღი აჭყაროს თავის სახელმწიფოსაო. რეზოლიუცია ასე ბოლოვდება: „კონგრესი სიხარულით ეგებება გერმანიისა და საფრანგეთის სოციალისტურ პარტიათა ერთსულოვან მოქმედებას და აღნიშნავს თავის სრულ თანხმობას ელზასის და ლოტარინგიის სოციალისტებთან“. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ სოციალისტებმა პარლამენტში თუ ხალხში, გერმანია-საფრანგეთის დაახლოვებისათვის აგიტაცია გასწიონ და წინააღმდეგობა გაუწიონ სამხედრო სამსახურის სამი წლის ვადას.

რეზოლიუცია კონგრესის უმრავლესობამ მოიწონა და მიიღო. სანამ რეზოლიუციის განხილვას შეუდგებოდა კონგრესი, ფრიად საგულისხმო კამათი გაიმართა სოციალისტთა შორის.

სხვათა შორის ცნობილმა ერვიემ მიჰმართა ასეთი წინადადებით კონგრესს „გერმანიისა და საფრანგეთის შეიარაღება მჭიდროდ არის დაკავშირებული ელზას-ლოტარინგიასთან, ფრანგებმა ეს არ უნდა დაივიწყონ. სოციალისტებმა უნდა აიძულონ საფრანგეთის მთავრობა, იარაღი დაჰყაროს და ამისთანავე წინადადებით მიჰმართონ სოციალისტებმა გერმანიის მთავრობასაც.

„გერმანიამ რომ უარი სთქვას?“—შეეკითხნენ მოლაპარაკეს; „თუ გინდეთ ქილება მოხდა, —უპასუხა ერვიემ—მაშინ იმ მხარეს, რომელმაც წინადადება უკუაგდო, თავდამსხმელად ჩავთვლი და ისე მოვექცევი, როგორც შესაფერისი იქნება“. ერვიეს სიტყვამ მღელვარება და უკმაყოფილება გამოიწვია. ერ ვიეს გამოეკამათნენ პრესანსე ჭ სხვა ორატორები.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ქართველ მსახიობთა ამხანაგობას „მეფე ედიპის“ გენერალური რეპეტიცია აქვს შაბათს, 23 მარტს, საღამოს 6 საათზე. ამხანაგობასა ჰსურს რეპეტიციაზე ზოგიერთი გარეშე პირიც მიიწვიოს.

ბაქო. მეორე წარმოდგენა ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით გაიმართა 15 მარტს. დასდგეს შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები“. დიდძალი ხალხი მიაწყდა წარმოდგენას. სამწუხაროდ, სამხატვრო-სალიტერატურო წრის დარბაზმა ყველა მსურველი ვერ დაიტია და ბევრი, უადგილობის გამო, გულდაწყვეტილი უკან გაბრუნდა.

სკენისმოყვარენი კარგად ვერ მომზადებულიყვნენ და სუსტობდნენ. სამაგიეროდ მესხიშვილმა თავისი ხელოვნურის თამაშობით აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი. ტაშისცემას და გამოწვევას დასასრული არა ჰქონდა.

მეორე დღეს ძვირფას სტუმარს ბაქოელმა ქართველებმა ნადიმი გაუმართეს. დაესწრო ოთხმოცამდე კაცი. კვირას, 17 მარტს, მესხიშვილი ტფილისს დაბრუნდა.

შემდეგი საგასტროლო წარმოდგენა განზრახულია 25 მარტს. მოწვეულნი არიან ვასილ და ტასო აბაშიძენი. დასდგამენ ზუდერმანის დრამას „ჰეპელათა ბრძოლა“.

წერილ. რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ ბატივცემულ „სახალხო გაზეთში“ ქ. შ. წ. კ. საზოგაოების თელავის განყოფილების სკოლის საარგებლოდ, 22 თებერვალს გამართულ „სამასკარადო სალამოს“ ანგარიში.

შემოსავალი სულ იყო 702 მან. 36 კაპ. ხარჯი 268 მან. 96 კაპ. წმინდა მოგება დარჩა 433 მან. 40 კაპ.

ფულად შემოსწირეს: „კახეთის“ საზოგადოებამ 15 მან. თავ. დ. ი. მაყაშვილმა 10 მან., თავ. იოს. და ს. ალ—ძე ქობულაშვილებმა 5 მან., თავ. სვ. ნ. ანდრონიკაშვილმა 3 მან. თავ. ვ. ნ. ავალიშვილმა 3 მან. დავ. მგალობლიშვილმა 2 მან. თითო მან. და 10 კაპ. გ. ი. ცისკარაშვილმა, გ. დ. მორთულაძემ, კნ. ეკ. დ. ჭავჭავაძისამ, თავ. ვლ. სიდამონოვ-ერისთავმა, და თავ. გ. ს. ვახვახიშვილმა. თითო მან. დ. გ. ცისკარაშვილმა და კნ. მან. დ. და ქ. ი. ჯორჯაძეებმა.

სანოვაგე შემოსწირეს: დავ. მგალობლიშვილმა, ს. ბ. აბელიშვილმა, თ. გ. ს. ყარალაშვილმა, თ. ი. და ს. ალ—ძე ქობულაშვილებმა, თ. დ. დ. და ად. მ. ლეონიძეებმა, კნ. ელ. გ. და ან. გ. ვახვახიშვილებმა, ა. ი. ვოლხოვისამ, ბ. ანტენმა და გ. ოსიპოვმა.

წ. კ. საზ. თელავის განყოფილების გამგეობა მადლობას უძღვნის, როგორც ზემოდ აღნიშნულ შემომწირველთ, აგრეთვე ქ-ნ ან. რ. კახიძისას, თ. ნ. დ. ერისთავს, ბ-ნთ ა. მესხის, ვ. როინაშვილის, თავ. ალ. ციციშვილს, თავ. ალ. მაყაშვილს, ვ. ბაიაშვილს, ალ. კეკლიშვილს და თავ ილ. და ს. ვახვახიშვილებს საზოგადოდ ამ საღამოს დახმარების და ხელის შეწყობისათვის.

ბ-ნთ გ ვ. ჩერნოვს, ე. ა. გეინეს და თავ. ივ. გ. ანდრონიკაშვილს ყვავილებისათვის, აწყურელ გლეხს გიო გიგაურიშვილს ბზის შტოების სოფლიდან შემოწირვისა ივის და აგრეთვე აბ. მათიკოვს, ივ. ყულიჯანოვს, ალ. ლოლაძეს და ალ. ტერგრიქეროვს და ყველა იმ პირთ, ვინც ამ საღამოს პირადად დასწრებით დახმარება აღმოუჩინა წ. კ. თელავის განყოფილების სკოლას.

წ კ. თელავის განყ. გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი

ალ ვახვახიშვილი.

ხაზინადარი ვ. პაატაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი

ა. ბუმბაძე.

გამოსაძებელი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, დამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-სახ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, დამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, დამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ

ყარსიდან: სახ.-სახ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-სად** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-სად.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-სად.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-სად.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-სად.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-სადარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-სად.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-სად.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-სად.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-სად.**, № 68, საღ: 6 ს. 38 წ. **სახ.-სად.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 II, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 II შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 II, საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 II, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 II ნაშ. 1 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, დამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, დამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ხაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა

გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, ორის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასია ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი 1/11 კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი 1/11 კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები და 3 4.

განცხადებანი

პირველი კავკასიური

თესლეულოგის დეპო

ლარეე

1872 წლიდან არსებობს.

** მიხეილის პროსპექტი № 10.**

ჰყიდის ახალ მოსავლის საუკეთესო ღირებულ

ნაცად თესლ ლოგას

საბოსტნოს

ყვავილებისას

მცენარეულ. ისას

ხეებისას და

საუკეთესო საზრდოს

იაღონისთვის

გირვ. 25 კაპ.

პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე **უფასოდ ეგზავნებათ.** 1076.

ექიმი ა. ნ. დავასარიანი

კანისა და ვენერიულ ავად. მყოფებს იღებს ყოვ. დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“

11—12 ს. შეეზიარება

კონსულტატიურად.

ბ. ა. **ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ზ. გ. **ბაბანარგი:** 1—2 ს. ბავშვთა შინგანი ავადმყ.

კ. მ. **ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალი ნაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანარგი:** 10—11 ს. საბებიალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. **მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ბ. გ. **ბეტანიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. ბ. **ბარაბეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ლ. ვ. ტერ-დავიდოვი** 1—2 ს. საბებიო. ქალების ავადმ.

საღამოთი:

ბ. გ. **ბეტანიანცი:** 6—7 საათ.

ექიმი ქალი გ. ლ. **რენიგერ-ბ** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები მოლარეებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1004 დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გ ა მ ც ე ბ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება

ნ. ფიუკაშვილის

პიესა „ მეგოლგროგა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ეემთხვევით იყიდება

ა. ბოგდან-ოვის

მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა

ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით 1 მანეთად.

ტფილისს გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ 1 მან. 10 კ. წიგნი მოიკითხეთ: სადაც იყიდება ყველანაირი ეროვნული სიფაბრიკო ფასებში.

Тифлисъ, складъ бумагъ Т-во Сергѣева, Дворцовая ул., д. Саражева, во дворѣ. 1098

ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზოლას

„ქვა-ნახშირის მუხრელები მაღაროებში“

ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.

დაკვეთა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ წიგნის მაღაზიაში და დალ. კანტ. დავით ნახუკრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „ეროვნულ“ **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ხამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **ბორჯომში**—ნ. ჯანაშიასთან, **კავკაზში**—მასწავლ. ბეჟანა ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **ბაკურიანში**—ბ. ბ. ბ. ... ძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძე წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილაბისტავართიანელიძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „ეროვნულ“ **ნალში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.

„ქვა-ნახშირის მუხრელები მაღაროებში“ „მომაბმის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1067

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**

ჰასხალიდის

აგრეშუმის თესლი

ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. ბ. რუსიძის კანტორაში,**

ბათუმში, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილებაა: თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენად უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **ჰასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კანტორა** ამით ძოგანებს, რომ თესლი დროიანად დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსავლელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთა-ერთი წარმომადგენელი ჰასხალიდის აბრეშუმის თესლისა **მ. გ. რუსიძე.** 1079

მიგიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კავიარ.) **ზიზილალა**

გამოსული ქერჩის

სელიოტკებზე,

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები.

ბუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ელეფონი № 712.

1131

და ყოველგვარი

კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ზიზილალა, (ვიტკა), ორაგული, თარაბარანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი**

და ყოველგვარი

ზავი ზიზილალა

ტფილისი მეხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.